ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის"

ეთიკის კომისიის

სხდომის ოქმი №05/14

ქ. თბილისი **15.12.2014**

სხდომა დაიწყო: 18:00 სთ **სხდომა დასრულდა: 19:35 სთ**

ეთიკის კომისიის სხდომა ჩატარდა 2014 წლის 15 დეკემბერს ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" ოფისში, მდებარე ქ. თბილისში, ძმ. ზუბალაშვილების ქ.№36.

ეთიკის კომისიის სხდომა მოწვეული იქნა ეთიკის კომისიის თავმჯდომარის დავალებით, ეთიკის კომისიის წევრებისათვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

სხდომას უძღვება ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ციცინო ცხვედიანი. ეთიკის კომისიის სხდომა მოწვეული იქნა კანონისა და წესდების მოთხოვნების სრული დაცვით, ამის გამო არც ერთ დამსწრე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

ეთიკის კომისიის სხდომას ესწრებიან ეთიკის კომისიის წევრები:

1. ციცინო ცხვედიანი
2. გია ტაბლიაშვილი
3. ეკატერინე გასიტაშვილი
4. პავლე აბაიაძე
5. თორნიკე ბაქრაძე
6. ია გაბედავა
7. გოჩა სვანიძე
8. ზვიად კორძაძე

სხდომის თავმჯდომარემ ციცინო ცხვედიანმა აღნიშნა, რომ სხდომას ესწრება ეთიკის კომისიის შემადგენლობის უმრავლესობა, ამდენად, სხდომა კანონისა და წესდების შესაბამისად გადაწყვეტილებაუნარიანია.

სხდომის მდივნის ფუნქციის შესრულება ეთხოვა ია გაბედავას, რომელსაც ტექნიკურ დახმარებას გაუწევს ეთიკის კომისიის იურისტი თამარ ხუბულური.

სხდომის თავმჯდომარემ ციცინო ცხვედიანმა ეთიკის კომისიის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი.

ეთიკის კომისიის დღის წესრიგით გათვალისწინებულია შემდეგი საკითხები:

1. **განვლილი წლის შეჯამება ეთიკის კომისიის სტრატეგიის შესაბამისად;**
2. **ეთიკის კომისიის ფუნქცია (ეუთოს ანგარიშის 71-ე რეკომენდაციის განხილვა: *"71. ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიამ უნდა განიხილოს ადვოკატთა დისციპლინარული პასუხისმგებლობის საკითხი, როდესაც დაცვის ადვოკატები არღვევენ პროფესიულ მოვალეობებს".)***

ეთიკის კომისიამ დაიწყო დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხის განხილვა.

1. **განვლილი წლის შეჯამება ეთიკის კომისიის სტრატეგიის შესაბამისად;**

სასამართლოსა და პროკურატურაში ეთიკის კომისიის შესახებ ინფორმაციის განთავსების ორგანიზებასთან დაკავშირებით პავლე აბაიაძემ განმარტა, რომ გაკეთდა კვლევა, თუ რა ფორმით და სად შეიძლებოდა ეთიკის კომისიის შესახებ ინფორმაციის განთავსება და მიმდინარეობს მოლაპარაკება დონორ ორგანიზაციასთან. განიხილება მოსაზრება, რომ ეთიკის კომისიის შესახებ ინფორმაცია განთავსდეს იუსტიციის სახლში, აღსრულების ეროვნულ ბიუროში, იურიდიული დახმარების ცენტრებში. ეთიკის კომისიის შესახებ ინფორმაციის გათავსება ხელს შეუწყობს საზოგადოების სწორ ინფორმირებას ეთიკის კომისიის უფლებამოსილების თაობაზე. ეს იქნება საინფორმაციო დაფა, ბროშურა თუ ინფორმაციის გავრცელების სხვა წყარო.

რეგიონებში ეთიკის კომისიის გასვლითი შეხვედრების ორგანიზებასთან დაკავშირებით სხდომის თავმჯდომარემ ციცინო ცხვედიანმა განმარტა, რომ კომისიის სურვილის მიუხედავად, ვინაიდან მისი განხორციელება დაკავშირებული იყო ფინანსურ რესურსთან, გასვლითი შეხვედრები 2015 წლის აქტივობების პრიორიტეტებში გადავა.

ეთიკის კომისიისათვის პრეს-სპიკერის ინსტიტუტის შემოღებასთან დაკავშირებით პავლე აბაიაძემ კომისიას შეახსენა, რომ ეთიკის კომისიის 02/14 სხდომაზე ეთიკის კომისიის პრეს-სპიკერად შეირჩა ეთიკის კომისიის მთავარი იურისტი - თამარ ხუბულური. საჯარო გამოსვლის უნარ-ჩვევებზე 2014 წლის სექტემბერში აღმასრულებელი საბჭოს წევრებთან ერთად პრეს-სპიკერს და ეთიკის კომისიის ორ წევრს ჩაუტარდათ ტრენინგი.

ეკატერინე გასიტაშვილის მოსაზრებით პრეს-სპიკერის ინსტიტუტის შემოღებასთან ერთად დასაგეგმია კონკრეტული ღონისძიებები, ვინაიდან ეს ინსტიტუტი განვითარებას საჭიროებს.

ეთიკის კომისიის საქმიანობის განვითარებისთვის საგრანტო პროექტების მოძიებისა და განხორციელების ორგანიზებასთან დაკავშირებით თორნიკე ბაქრაძემ განმარტა, რომ ეს აქტივობა განხორციელების პროცესშია. პავლე აბაიაძემ დაამატა, რომ დონორებთან შეხვედრისას კომისიამ მათ უკვე კონკრეტული პროექტის იდეები უნდა შესთავაზოს თუ რა მოქმედებების განსახორციელებლადაა საჭირო გრანტი, გამოცემისთვის, გასვლითი შეხვედრისთვის თუ სხვა რამისთვის.

ზვიად კორძაძის მოსაზრებით, ეთიკის კომისია უნდა გადავიდეს განვითარების ახალ ეტაპზე, იმისათვის, რომ გაგრძელდეს დონორებთან მჭიდრო თანამშრომლობა და კიდევ უფრო განვითარდეს ადვოკატთა პროფესიული ეთიკა. ზვიად კორძაძემ შესთავაზა კომისიის წევრებს ელექტრონული მეილის მეშვეობით გაეზიარებინათ ერთმანეთისთვის ის იდეები, რომელთა პროექტებად ქცევა და დონორებისთვის შეთავაზებაც შეიძლებოდა.

ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებების, რეკომენდაციების პოპულარიზაციისთვის ფორმების მოფიქრებასა და განხორციელების შესახებ ეკატერინე გასიტაშვილმა განმარტა, რომ ის ესაუბრა სამართლის ელექტრონული ბიბლიოთეკის წარმომადგენელს და შესაძლებელი იქნებოდა ამ საიტზე, როგორც ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების, ასევე რეკომენდაციების განთავსება. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებები და რეკომენდაციები ასევე ქვეყნდებოდა ყოველკვარტალურ ჟურნალში და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები და რეკომენდაციები თავსდებოდა ადვოკატთა ასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე. ასევე EWMI-JILEP-ის ფინანსური თანადგომით გამოიცა და 2014 წლის 08 ნოემბერს კონფერენციაზე დარიგდა, ასევე ბიბლიოთეკებში გაიგზავნა და ადვოკატთა ასოციაციის ოფიციალურ საიტზე განთავსდა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის სარეკომენდაციო გადაწყვეტილებების კრებული 2013-2014 წწ. რეკომენდაციათა პოპულარიზაციის გაზრდას ხელს შეუწყობდა ეთიკის კომისიის ერთი იურისტის მონაწილეობაც გასვლით შეხვედრებში რეგიონებში. რეკომენდაციათა შეკითხვის ფორმები ასევე რიგდებოდა ეთიკის კომისიის ტრენინგებზე განგრძობადი იურიდიული განათლების ფარგლებში.

ეთიკის კომისიის წევრების მონაწილეობის დაგეგმვასა და ორგანიზებაზე ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონზე მომუშავე ჯგუფში, ზვიად კორძაძემ განმარტა, რომ ის ჩართული იქნება ჯგუფის მუშაობაში ასოციაციის თავმჯდომარის ინიციატივით, თუმცა კარგი იქნებოდა ეთიკის კომისია რამოდენიმე წევრით ყოფილიყო წარმოდგენილი და ცვლილებებზე მუშაობა გაგრძელებულიყო ადვოკატთა პროფესიული ეთიკის ნორმებზე.

ეკატერინე გასიტაშვილის მოსაზრებით უმჯობესი იქნებოდა ეთიკის კომისიამ თავისი კვოტა მოითხოვოს ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის ცვლილებებზე მომუშავე ჯგუფში და ამის შესახებ წერილობით მემართოს აღმასრულებელ საბჭოს. ეთიკის კომისიის დისციპლინური პასუხიმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების

ცვლილებაზე სამუშაოების ორგანიზებასთან დაკავშირებით ეთიკის კომისია უნდა შეიკრიბოს და ცვლილებათა პროექტი მოამზადოს.

ციცინო ცხვედიანის განმარტებით ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარეს გადასცემს ეთიკის კომისიის წევრთა იმ ჩამონათვალს, ვინც ჩაერთვება ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის ცვლილებებზე მომუშავე ჯგუფში. ჯგუფში ჩართვა შეეძლება ეთიკის კომისიის ნებისმიერ წევრს.

სხდომის თავმჯდომარის განმარტებით ეთიკის კომისიის სტრატეგიით გათვალისწინებული ისეთი საკითხები როგორიცაა უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში ადვოკატთა საქმის განხილვის შესახებ კანონპროექტის შემუშავება; ეთიკის კომისიის უფლებების კანონმდებლობით გარანტიების უზრუნველყოფისთვის მოქმედებების დაგეგმვა და განხორციელება; ზემოქმედების ღონისძიებების ალტერნატიული გადაწყვეტების შემუშავება; დისციპლინური წარმოების დახვეწა: მოკვლევის და "სასამართლო" ჯგუფების ფორმირება; ეთიკის კომისიის საქმისწარმოების ვადების ოპტიმიზაციის საკითხის გადახედვა; ეთიკის კომისიის წევრების არჩევის სისტემის გადახედვა (როტაციის პრინციპის განხილვა); ეთიკის კომისიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებისთვის ღონისძიებების დაგეგმვა და ორგანიზება, ვინაიდან უკავშირდება ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონში და დებულებაში ცვლილებებს დაგეგმილია 2015 წელს.

სხდომის თავმჯდომარის განმარტებით, წევრების და აპარატის დატრენინგება გადაწყვეტილების დასაბუთებულობაზე და წერის მეთოდებზე განხორციელდება 2015 წელს. ასევე 2015 წელს განხორციელდება ეთიკის კომისიის აპარატის კვალიფიკაციის ამაღლებისთვის ღონისძიებები, მუშაობა გაგრძელდება საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამის განვითარებაზე.

სხდომის თავმჯდომარის განმარტებით, ეთიკის კომისიის დატვირთვიდან გამომდინარე სასურველი იქნებოდა ეთიკის კომისიის იურისტის ერთი საშტატო ერთეულის დამატება.

პავლე აბაიაძის განმარტებით, გადასახედია აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილება ეთიკის კომისიის იურისტის კონკურსის ორგანიზებასთან დაკავშირებით, რომელიც მიიღეს ეთიკის კომისიის იურისტის ბოლო კონკურსის დროს.

ზვიად კორძაძის განმარტებით, ასევე გადასახედია აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილება, რადგან წინა მოწვევის აღმასრულებელ საბჭოს ეთიკის კომისიის კონკურსის ორგანიზება დელეგირებული ჰქონდა ეთიკის კომისიისთვის, ეთიკის კომისია თავად განსაზღვრავდა იურისტისთვის დადგენილ მოთხოვნებსა და ვალდებულებებს და აღმასრულებელი საბჭოსგან ჩაურევლად ატარებდა კონკურსს.

ზვიად კორძაძის წინადადებით ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ სამ საკითხზე უნდა მიმართოს ადვოკატთა ასოციაციას: პირველი საკითხი - ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის ცვლილებებზე მომუშავე ჯგუფში ეთიკის კომისიის წევრთა წარდგენა, მეორე საკითხი, გამოთხოვილ იქნეს აღმასრულებელი საბჭოს ის ოქმი, რომლის მიხედვითაც ეთიკის კომისიას შეეზღუდა ეთიკის კომისიის იურისტის კონკურსის დამოუკიდებლად ორგანიზება და ოქმის მიხედვით კომისიამ წარადგინოს თავისი ოფიციალური პოზიცია, მესამე საკითხი - ადვოკატთა ასოციაციას მოეთხოვოს საერთო კრების ჩატარება კომისიის წევრთა შევსების მიზნით.

ზვიად კორძაძის შეთავაზება გაიზიარა ეთიკის კომისიამ.

ციცინო ცხვედიანის წინადადებით კომისია გადავიდა მეორე საკითხის განხილვაზე.

2. **ეთიკის კომისიის ფუნქცია (ეუთოს ანგარიშის 71-ე რეკომენდაციის განხილვა: "71. ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიამ უნდა განიხილოს ადვოკატთა დისციპლინარული პასუხისმგებლობის საკითხი, როდესაც დაცვის ადვოკატები არღვევენ პროფესიულ მოვალეობებს".)**

ეკატერინე გასიტაშვილის შეფასებით, ეთიკის კომისიის ფუნქცია უნდა გაიზარდოს. წინა მოწვევის ეთიკის კომისია მუშაობდა ამ მიმართულებით. ექსპერტთა შეფასებით, სასურველია კომისია იხილავდეს არა მხოლოდ შემოტანილ საჩივრებს, არამედ კომისიას თავად შეეძლოს წარმოების დაწყება გახმაურებულ დისციპლინურ გადაცდომებზე.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა ამოიწურა.

კომისიის სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

სხდომის თავმჯდომარე: /ციცინო ცხვედიანი/

სხდომის მდივანი: /ია გაბედავა/